ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1147729

ნომერი: AR1199847

თარიღი : 25.02.2014

გაცემის თარიღი : 28.02.2014

გაცნობის თარიღი : 28.02.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო "დიდუბის" მიმდებარედ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტრისტან დვალი პ/ნ 01006005412
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 69

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე და მიმდებარე ტერიტორიაზე დამუშავებულია განაშენიანების რეგულირების „ჩარჩო-გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს ამ ტერიტორიების ქალაქმშენებლობითი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, დაზუსტებულ ზონებს და ქვეზონებს, ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მათ მიმართულებებს, კავშირებსა და კატეგორიებს. გამომდინარე იქედან, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება სრულ შეუსაბამობაშია ზემოაღნიშნულ „ჩარჩო გეგმასთან“ და ეწინააღმდეგება ამ დოკუმენტით განსაზღვრულ განვითარების ძირითად პრინციპებს, ამასთანავე საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო საკვანძო ადგილს, სადაც შეზღუდულია ყველა სახის შენობა–ნაგებობების განთავსება.

ამასთანავე საპროექტო მიწის ნაკვეთი, ფუნქციური ზონირების მიხედვით მდებარეობს–საზოგადოებრივ საქმიან ზონა 2-ში (სსზ–2), რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის ზონას, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით არქიტექტურის სამსახური მოკლებულია დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.